განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ისევე როგორც წინა წლებში, 2026 წლის ქვეყნის ბიუჯეტიც ამ ეტაპზე დაგეგმილია კონსერვატიული მიდგომით და გათვალისწინებულია შემდეგი მაკროეკონომიკური პარამეტრები:
რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5,0%-ის ოდენობით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5,3%-ს შეადგენს;
საშუალო ინფლაციის პროგნოზი მიმდინარე წელს 3,3%-ს შეადგენს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებშია (3%);
ნომინალური მშპ-ის პროგნოზი განსაზღვრულია 114,1 მლრდ ლარის ოდენობით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი 11 300 დოლარს აჭარბებს. 2029 წლისთვის პროგნოზირებულია ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 145,5 მლრდ ლარამდე, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 14 500 დოლარს გადააჭარბებს; პროექტის წინა ვერსიისაგან განსხვავებით 2026 წლისათვის ნომინალური შიდა პროდუქტის პროგნოზი გაზრდლია 3,6 მლრდ ლარით, რაც გამოწვეულია სტატისტიკის სამსახურის მიერ 2024 წლის ნომინალური შიდა პროდუქტის ფაქტიური მონაცემების დაზუსტებით და 2025 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზის 6%-დან 7,2%-მდე ზრდით;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრულია 22 485,4 ათასი ლარით და წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 86,4 ათასი ლარით (დღგ-ს გეგმის ზრდის ხარჯზე)

მუნიციპალიტეტის საკრებულოდან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ხარჯვითი ნაწილი გაზრდილია 405,0 ათასი ლარით და შეადგენს 24 704 ,0 ათას ლარს, რომლის ფარგლებშიც სრულად ფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებები. ხოლო სხვაობა 2 218,6 ათასი ლარი დაიფარება 2026 წლის პირველი იანვრისათვის მოსალოდნელი საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთის ხარჯზე.

2026 წლის ბიუჯეტის ხარჯების 405,0 ათასი ლარის მატებიდან გაზრდილია:

სოციალური პროგრამის დაფინანსება 170,0 ათასი ლარით.

მათ შორის გაიზარდა:
ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 100,0 ათასი ლარით;
ახალშობილთა ოჯახების დახმარება - 10,0 ათასი ლარით;
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება - 50,0 ათასი ლარით, რომელიც მიმართული იქნება მარტოხელა და ხელმოკლე ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ასაწყობი სენდვიჩ-პანელების შესაძენად;
უფასო სასადილოს სუბსიდირება - 10,0 ათასი ლარით, რომელიც მიმართული იქნება მოწყვლად ჯგუფებზე საკვები პროდუქტების მისაწოდებლად.

ინფრასტრუქტურის განვითარება 135,0 ათასი ლარით.

მათ შორის გაიზარდა:
საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება - 15,0 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელწოდებების ამსახველი აბრების განთავსება მოწყობის მიზნით;
სასმელი წყლით უზრუნველყოფა - 50,0 ათასი ლარით;
სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრების მოწყობა - 20,0 ათასი ლარით, მოსალოდნელი სტიქიების პრევენციის მიზნით;
მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია - 50,0 ათასი ლარით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

კულტურის სფეროს განვითარება - 40,0 ათასი ლარით.

მათ შორის გაიზარდა:
კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა - 25,0 ათასი ლარით, მ, შ. მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული წრეებისათვის ინსტრუმენტებისა და ფორმების შესაძენად და დაბის ისტორიული მუზეუმის გარე ფასადის მოწესრიგების მიზნით.
ახალგაზრდული მხარდაჭერის პროგრამა - 15,0 ათასი ლარით, ოქრო-ვერცხლის მფლობელი კურსდამთავრებულების წასახალისებლად.

დასუფთავება გარემოს დაცვა - 20,0 ათასი ლარით.
მათ შორის გაიზარდა:
დასუფთავება და ნარჩენების გატანა - სანაგვე კონტეინერების შეძენის მიზნით.

სარეზერვო ფონდი 40,0 ათასი ლარით;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პარამეტრები

სულ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 22 485,4 ათას ლარს და 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებს აღემატება 2 718,1 ათასი ლარით ზრდის პროცენტი შეადგენს 13,8 %-ს (2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები იყო 19 767,3 ათასი ლარი; (ცხრ. N 1) ამასთან, როგორც ზევით აღინიშნა წინა ვერსიასთან შედარებით

შემოსულობები გაზრდილია 86,4 ათასი ლარით დღგ-ს ხაჯზე. პირველი ვერსიით შემოსულობები განსაზღვრული იყო 22 399,0 ათასი ლარი.

ცხრ. N 1

ათას ლარებში

დასახელება	კოდი	2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი	2026 წლის ბიუჯეტის პირველი წარდგენა	2026 წლის ბიუჯეტის მეორე წარდგენა	სხვაობა პირველ და მეორე წარდგენებს შორის (2-3)	სხვაობა (2026წ-2025წ) (1-3)	ზრდის %
		1	2	3	4	5	6
შემოსულობები		**19 767,3**	**22 399,0**	**22 485,4**	**86,4**	2 718,1	13,8
გადასახადები	11	17 208,9	19 718,0	19 804,4	86,4	2 595,5	15,1
ქონების გადასახადი	113	6 200,0	8 000,0	8 000,0	0	1 800,0	29,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	4 930,0	7 230,0	7 230,0	0	2 300,0	46,7
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	770,0	770,0	770,0	0	0,0	0,0
დამატებული ღირებულების გადასახადი	11411	**11 008,9**	**11 718,0**	**11 804,4**	**86,4**	795,5	7,2
გრანტები	13	298,4	216,0	216,0		-82,4	-27,6
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	**1331112**	298,4	216,0	216,0	0	-82,4	-27,6
სხვა შემოსავლები	14	2 180,0	2 455,0	2 455,0	0	275,0	12,6
პროცენტები	**1411**	150,0	300,0	300,0	0	150,0	100,0
რენტა	**1415**	**125,0**	**100,0**	**100,0**	0	-25,0	-20,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	75,0	75,0	75,0	0	0,0	0,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	50,0	25,0	25,0	0	-25,0	-50,0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	5,0	5,0	5,0	0	0,0	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	95,0	50,0	50,0	0	-45,0	-47,4
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	1 805,0	2 000,0	2 000,0	0	195,0	10,8
არაფინანსური აქტივების კლება	**31**	**80,0**	**10,0**	**10,0**	0	-70,0	-87,5

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე პუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული პარამეტრების შესაბამისად, 2026 წლის პროგნოზით ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის ნომინალურ გამოხატულებაში 19 804,8 ათას ლარს შეადგენს, (დან. N1) რაც პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 86,4 ათასი ლარით, ხოლო 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 2 595,5 ათასი ლარით, 15,1 %-ით. (ცხრ. N1)
მათ შორის:
დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11 804,4 ათასი ლარით და წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 86,4 ათასი ლარით;

ქონების გადასახადი - 8 000,0 ათას ლარს; აქედან:

ქონების გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე - 7 230,0 ათასი ლარი;

ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 770,0 ათასი ლარი;

არასაგადასახადო შემოსავლების გეგემები უცვლელია

მათ. შორის:

გრანტები, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 216,0 ათასი ლარი;

სხვა შემოსავლები - 2 455,0 ათასი ლარი, მათ შორის:

პროცენტები- 300.0 ათასი ლარი;

რენტა - 100,0 ათასი ლარი, მათ შორის:

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის - 75,0 ათასი ლარი;

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 25,0 ათასი ლარი;

სანებართვო მოსაკრებლები - 5,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 50,0 ათასი ლარი;

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან - 2 000,0 ათასი ლარი, მათ შორის:

შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო 1 950,0 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 50,0 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლება (პრივატიზაცია) -10,0 ათ. ლარი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯები)

მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელების (ხარჯები) მოცულობა წინა ვერსიასთან შედარებით გაიზარდა 405,0 ათასი ლარით და შეადგენს 24 704,0 ათას ლარს, (პირველი ვერსიით ხარჯვითი ნაწილი განისაზღვრებოდა 24 399,0 ათასი ლარი) 2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გადასახდელები გაზრდილია 4 421,4 ათასი ლარით 21,8 %-ით (2025 წლის დამტკიცებული გადასახდელები შეადგენდა 20 282,6 ათასი ლარით. (ცხრ. N 2)

ათას ლარებში

ცხრ. N2

პრ. კოდი	**დასახელება**	2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი	2026 წლის ბიუჯეტის პირველი წარდგენა	2026 წლის ბიუჯეტის მეორე წარდგენა	სხვაობა პირველ და მეორე წარდგენებს შორის (2-3)	სხვაობა (2026წ-2025წ) (1-3)	ზრდის %
		1	2	3	4	5	6
პრ. კოდი	**ხარაგაულის მუნიციპალიტეტი**	**20 282,6**	**24 299,0**	**24 704,0**	**405,0**	**4 421,4**	**21,8**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულება**	**6 176,1**	**6 743,2**	**6 783,2**	**40,0**	**607,1**	**9,8**
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 323,8	1 482,6	1 482,6	0,0	158,8	12,0
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	4 522,3	5 007,6	5 007,6	0,0	485,3	10,7
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	30,0	20,0	20,0	0,0	-10,0	-33,3
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	300,0	233,0	273,0	40,0	-27,0	-9,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	120,0	120,0	160,0	40,0	40,0	33,3

პრ. კოდი	დასახელება	2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი	2026 წლის ბიუჯეტის პირველი წარდგენა	2026 წლის ბიუჯეტის მეორე წარდგენა	სხვაობა პირველ და მეორე წარდგენებს შორის (2-3)	სხვაობა (2026წ-2025წ) (1-3)	ზრდის %
01 02 02	წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინასური უზრუნველყოფა	100,0	50,0	50,0	**0,0**	-50,0	-50,0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	75,0	58,0	58,0	**0,0**	-17,0	-22,7
01 02 04	ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობა	5,0	5,0	5,0	**0,0**	0,0	0,0
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**2 312,4**	**2 935,0**	**3 070,0**	**135,0**	**757,6**	**32,8**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 250,0	1 475,0	1 490,0	15,0	240,0	19,2
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	700,0	750,0	750,0	0,0	50,0	7,1
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	250,0	300,0	300,0	0,0	50,0	20,0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	40,0	45,0	60,0	**15,0**	20,0	50,0
02 01 04	ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	100,0	180,0	180,0	0,0	80,0	80,0
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	160,0	200,0	200,0	0,0	40,0	25,0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	230,0	370,0	440,0	**70,0**	210,0	91,3
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	200,0	220,0	270,0	50,0	70,0	35,0
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	30,0	150,0	170,0	20,0	140,0	466,7
02 03	გარე განათება	402,0	540,0	540,0	0,0	138,0	34,3
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	402,0	540,0	540,0	0,0	138,0	34,3
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	100,0	150,0	200,0	**50,0**	100,0	100,0
02 05	კეთილმოწყობა	130,0	150,0	150,0	0,0	20,0	15,4
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	130,0	150,0	150,0	0,0	20,0	15,4
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	200,4	250,0	250,0	0,0	49,6	24,8
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2 221,9**	**2 944,5**	**2 964,5**	**20,0**	**742,6**	**33,4**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 941,4	2 564,5	2 584,5	20,0	643,1	33,1
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	265,5	363,0	363,0	0,0	97,5	36,7
03 03	მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა	15,0	17,0	17,0	0,0	2,0	13,3
04 00	**განათლება**	**3 524,9**	**4 522,8**	**4 522,8**	0,0	**997,9**	**28,3**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3 120,0	3 991,1	3 991,1	0,0	871,1	27,9
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	#DIV/0!
04 04	სკოლების რეაბილიტაცია, აღჭურვა	5,0	8,0	8,0	0,0	3,0	60,0
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	141,9	195,2	195,2	0,0	53,3	37,6
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	258,0	328,5	328,5	0,0	70,5	27,3
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**2 998,1**	**3 892,9**	**3 932,9**	**40,0**	**934,8**	**31,2**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1 070,0	1 445,0	1 445,0	0,0	375,0	35,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	20,0	20,0	20,0	0,0	0,0	0,0
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	800,0	1 045,0	1 045,0	0,0	245,0	30,6
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	250,0	380,0	380,0	0,0	130,0	52,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 713,1	2 173,9	2 198,9	**25,0**	485,8	28,4

პრ. კოდი	დასახელება	2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი	2026 წლის ბიუჯეტის პირველი წარდგენა	2026 წლის ბიუჯეტის მეორე წარდგენა	სხვაობა პირველ და მეორე წარდგენებს შორის (2-3)	სხვაობა (2026წ-2025წ) (1-3)	ზრდის %
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 690,1	2 143,9	2 168,9	**25,0**	478,8	28,3
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	253,8	310,4	310,4	0,0	56,6	22,3
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	1 408,6	1 800,0	1 825,0	25,0	416,4	29,6
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	27,7	33,5	33,5	0,0	5,8	20,9
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	23,0	30,0	30,0	0,0	7,0	30,4
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	105,0	140,0	140,0	0,0	35,0	33,3
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	80,0	100,0	100,0	0,0	20,0	25,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	30,0	34,0	49,0	**15,0**	19,0	63,3
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**3 049,2**	**3 260,6**	**3 430,6**	**170,0**	**381,4**	**12,5**
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	288,9	328,3	328,3	**0,0**	39,4	13,7
06 03	სოციალური დაცვა	**2 760,3**	2 932,3	3 102,3	**170,0**	342,0	12,4
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	500,0	600,0	600,0	0,0	100,0	20,0
06 03 03	შშმ პირთა დახმარება	90,0	107,0	107,0	0,0	17,0	18,9
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	1 000,0	1 000,0	1 100,0	**100,0**	100,0	10,0
06 03 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	43,0	75,0	75,0	0,0	32,0	74,4
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	45,0	63,0	63,0	0,0	18,0	40,0
06 03 07	მარტოხელა მშობლების დახმარება	24,0	24,0	24,0	0,0	0,0	0,0
06 03 08	მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება	60,0	60,0	60,0	0,0	0,0	0,0
06 03 09	ყოველთვიური დახმარება	80,0	80,0	80,0	0,0	0,0	0,0
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	9,0	9,0	9,0	0,0	0,0	0,0
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარება	4,0	8,0	8,0	0,0	4,0	100,0
06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	100,0	100,0	100,0	0,0	0,0	0,0
06 03 13	სოციალურად დაუცველი და მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	20,0	20,0	20,0	0,0	0,0	0,0
06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარება	20,0	20,0	20,0	0,0	0,0	0,0
06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	24,0	25,0	35,0	**10,0**	11,0	45,8
06 03 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	1,0	1,0	1,0	0,0	0,0	0,0
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	180,0	200,0	250,0	**50,0**	70,0	38,9
06 03 18	უფასო სასადილო	281,3	327,3	337,3	**10,0**	56,0	19,9

პრ. კოდი	დასახელება	2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი	2026 წლის ბიუჯეტის პირველი წარდგენა	2026 წლის ბიუჯეტის მეორე წარდგენა	სხვაობა პირველ და მეორე წარდგენებს შორის (2-3)	სხვაობა (2026წ-2025წ) (1-3)	ზრდის %
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა	80,0	50,0	50,0	0,0	-30,0	-37,5
06 03 20	გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა	30,0	50,0	50,0	0,0	20,0	66,7
06 03 21	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება	25,0	30,0	30,0	0,0	5,0	20,0
06 03 22	არასრულწლოვანთა მხარდაჭერა და პოზიტიური მშობლობის პროგრამა	44,0	78,0	78,0	0,0	34,0	77,3
06 03 23	პერსონალური ასისტენტის მომსახურება	100,0	5,0	5,0	0,0	-95,0	-95,0

ამასთან. 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. 10%-მდე იზრდება საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები.

ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების პრევენციის მიზნით საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული უწყვეტი გადაადგილების უზრუნველყოფა, რომელიც ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და მოსახლეობისათვის შედარებით უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას. აღნიშნულის გამო მუნიციპალიტეტი კვლავ აგრძელებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, როგორიცაა ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ხიდები, ხიდ-ბოგირები, სანიაღვრე არხები, ნაპირსამაგრები გზებსა და მდინარეებზე. ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ასპექტები;

მომავალ 2026 წელს კვლავ გრძელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით 2022 წელს დანერგილი სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც განახორციელდება მოქალაქეების ჩართულობით შექმნილი და მოწონებული პროექტები, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია შესაბამის საბიუჯეტო პროგრამებში.

ასევე ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში პრიორიტეტებისა და პროგრამების მიხედვით განსაზღვრულია კავშირი გაეროს მდგრადი განვითარების შესაბამის მიზნებთან.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

1) **02 00 პრ. კოდი - ინფრასტრუქტურის განვითარება - 3 070,0 ათასი ლარი,** რაც წინა ვერსიის მაჩვენებლებს აღემატება 135,0 ათასი ლარით, ხოლო 2025 წლის დაგეგმილ მაჩვენებლებს აღემატება 757,6 ათასი ლარით. 2025 წელს დაგეგმილი იყო 2312.4 ათასი ლარი. შესაბამისად გაზრდილია პრიორიტეტში შემავალი ყველა პროგრამის დაფინანსება და ზრდის პროცენტი შეადგენს 32,8%-ს. **მათ შორის:**

02 01 პრ.კოდი - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 1 490, 0 ათასი ლარი; *პირველ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 15,0 ათასი ლარით და გათვალისწინებულია საკრებულოს რეკომენდაციით მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელწოდებების ამსახველი აბრების მოსაწყობად*

აღნიშნული პროგრამით გაგრძელდება გზების მოასფალტება-მობეტონებისა და ნაპირსამაგრების მოსაწყობი სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოხდება თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე, ასევე გაწეული იქნება საპროექტო და მონიტორინგის ხარჯები. გაგრძელდება შიდა გზების მოვლა-პტრონობა, ხიდების რეაბილიტაცია, ასევე გაგრძელდება და იზრდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის მოცულობა, მოეწყობა ახალი საგზაო ნიშნები, განხორციელდება ვიდეო-სათვალთვალო კამერების შეძენა და მოვლა-პატრონობა.

მათ შორის:

02 01 01 პრ. კოდი - გზების კაპიტალური შეკეთება - 750,0 ათასი ლარი;

02 01 02 პრ. კოდი - გზების მიმდინარე შეკეთება -300,0 ათასი ლარი;

02 01 03 პრ. კოდი -საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება - 60,0 ათასი ლარი

02 01 03 პრ. კოდი - ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია -180,0 ათასი ლარი;

02 01 05 პრ. კოდი - მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება -200,0 ათასი ლარი.

02 02 პრ. კოდი - წყლის სისტემების განვითარება - 440.0 ათასი ლარი; წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 70,0 ათასი ლარით და 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 210,0 ათااسი ლარით. 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით პროგრამის დაფინანსებაზე 230,0 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული, პროგრამა თითქმის გაორმაგებულია და ზრდის პროცენტმა მიაღწია 91,3 %-ს, ზრდა გამოწვეულია გახშირებული სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით, რაც გულისხმობს სანიაღვრე არხების გაწმენდას, ახლის მოწყობას, მდინარეებსა და ღელეებზე დამცავი ნაპირსამაგრების მოწყობას.

აღნიშნული პროგრამით კვლავ გაგრძელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის საჭირო სამუშაოები, შესრულდება სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტები, ასევე გახშირებული სტიქიური მოვლენების გამო დაფინანსდება მდინარეებსა და ღელეებზე ნაპირსამაგრების მოწყობისა და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგების ხარჯები.

მათ შორის:

02 02 01 პრ. კოდი - სასმელი წყლით უზრუნველყოფა - 270,0 ათასი ლარი;
02 02 02 პრ. კოდი -სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრების მოწყობა - 170,0 ათასი ლარი,

02 03 პრ. კოდი - გარე განათება - 540.0 ათასი ლარი.

ამ პროგრამით განხორციელდება მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, ასევე უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოხდება გარე განათების ქსელია გაფართოება.

02 04 პრ. კოდი - მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია - 200.0 ათასი ლარი; წინა ვერსიასთან შედარებით პროგრამა გაზრდილია 50,0 ათასი ლარით, და 2025 წელთა შედარებით პროგრამა გაორმაგებულია და ზრდის პროცენტი 100%-ს შედაგენს.

02 05 პრ. კოდი - კეთილმოწყობა 150.0 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში მოხდება საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა და სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში დაფინანსდება გამარჯვებული პროექტები. წინა 2025 წელთან შედარებით პროგრამის ბიუჯეტი 20,0 ათასი ლარით არის გაზრდილი.

02 09 პრ. კოდი - სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები - 250.0 ათასი ლარი; პროგრამა წინა წელთან შედარებით გაზრდილია 49,6 ათასი ლარით, 24,8%-ით. აღნიშნული ხარჯები ძირითადად გათვალისწინებულია სოფლის მხარდამჭერი პროექტების თანადაფინანსებისათვის, ხოლო ნაწილი მოხმარდება სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მოწყობილი ობიექტების ელექტროენერგიის წყაროზე დაერთებას.
პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სოფლებში ადგილობრივი გზების მობეტონება და ორმული შეკეთება, სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა, წისქვილების რეაბილიტაცია, სოფლის ცენტრებისა და სხვა სახის პროექტების დაფინანსება, რომლის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს სოფლის მოსახლეობა.

2) 03 00 პრ. კოდი - დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2 964.5 ათასი ლარი, წინა ვერსისთან შედარებით 20,0 ათასი ლარით მეტია და 2025 წლის დაგეგმილ მაჩვენებლებს 742.6 ათასი ლარით აღემატება, ზრდის პროცენტი შეადგენს 33,4 %-ს. (2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით დასუფთავების პრიორიტეტი 2 221.9 ათას ლარით იყო განსაზღვრული) მათ შორის:

03 01 პრ.კოდი -დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2 584.5 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაბისა და სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა; ასევე დებულებით გათვალისწინებული სხვადასხვა სამუშაოების შესრულება, მათ შორის სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები, სძენილი იქნება ნაგვის კონტეინერები.

03 02 პრ.კოდი - მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 363,0 ათასი ლარი

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა.

03 03 პრ. კოდი - უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 17,0 ათასი ლარი, პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებსა და დაბაში მყოფი მიუსაფარი შინაური ცხოველების სპეციალურ დროებით თავშესაფარში გადაყვანა მათი მკურნალობის სტერილიზაციის და შემდგომი დამუშავების მიზნით.

3) 04 00 პრ. კოდი - განათლება - 4 522,8 ათასი ლარი, რაც 2025 წლის საგეგმო მაჩვენებლებს 997,9 ათასი ლარით აღემატება (2025 წელს განათლების პრიორიტეტში გათვალისწინებული იყო 3 524,9 ათასი ლარი) ზრდის პროცენტი - 28,3 %; **მათ შორის:**

04 01 პრ. კოდი - სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება -3 991,1 ათასი ლარი; 2025 წლის მაჩვენებლებთან შედარებით თანხები გაზრდილია 871,1 ათასი ლარით და ითვალისწინებს გაერთიანებაში მომუშავე თანამშრომლების სახელფასო გაზრდას.

04 04 პრ. კოდი - სკოლების რეაბილიტაცია - 8,0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდება საზედამხედველო სამუშაოების ანაზღაურებას.

04 05 პრ. კოდი - ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პანსიონური მომსახურება) – 195,2 ათ, ლარი, პროგრამის განმხორციელებელი არის ბორის საჯარო სკოლა (ინტერნატი) და დაფინანსება ხმარდება ინტერნატში ღამის გამთევი მოსწავლეების ხარჯების ანაზღაურებას.

04 06 პრ. კოდი - სკოლის გარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლეთა სახლი)- 328,5 ათ. ლარი

4) 05 00 პრ. კოდი - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3 932,9 ათასი ლარი და პირველი ვერსიის მაჩვენებლებს აღემატება 40,0 ათასი ლარით. ხოლო წინა 20025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯებს 934,8 ათასი ლარით აღემატება, ზრდის პროცენტი არის 31,2 %. (2025 წელს კულტურის და სპორტის პრიორიტეტზე 2 998,1 ათასი ლარი იყო დაგეგმილი) მათ შორის:

05 01 პრ. კოდი - სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1 445,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული ღონისძიებებისა და სპორტის ხელშეწყობის დაფინანსება. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, პროგრამა ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა წახალისების ხარჯებს. სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში გაგრძელდება სპორტული მოედნების მოწყობა. ტრენაჟორებისა და სხვადასხვა სპორტული ინვენტარის შეძენა.

05 01 01 პრ. კოდი - სპორტული ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;

05 01 02 პრ. კოდი - სპორტის ხელსწყობა - 1 045,0 ათასი ლარი;

05 01 03 პრ. კოდი - სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია -380,0 ათასი ლარი.

05 02 პრ. კოდი - კულტურის სფეროს განვითარება - 2 173,9 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სამუსიკო სკოლის, ფოლკლორის ცენტრის, კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის ცენტრის, ასევე კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

05 03 პრ. კოდი - მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობა -140,0 ათასი ლარი, ამ პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია ბეჭდური და სხვა საინფორმაციო საშუალებებით.

05 04 პრ. კოდი - რელიგიის დაფინანსება 100,0 ათასი ლარი; ამ პროგრამით ხორციელდება მარგვეთისა და უბისის ეპარქიასთან თანამშრომლობა.

05 05 პრ. კოდი - ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 34,0 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება, გრანტის მფლობელი სტუდენტებისა და ოქრო-ვერცხლის მფლობელი კურსდამთავრებულების წახალისება და სხვა.

5) **06 00 პრ. კოდი - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3 430,6 ათასი ლარი,** 2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით აღნიშნულ პრიორიტეტზე მიმართული იქნება 381,4 ათასი ლარით მეტი და ზრდის პროცენტი შეადგენს 13,7 %-ს. 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით 3 049,2 ათასილარი იყო დაგეგმილი. წინა ვერსისთან შედარებით კი პრიორიტეტის დაფინანსება გაზრდილია 170,0 ათასი ლარით და მთლიანად მიმართულია სოციალური პროგრამის სხვადასხვა აქვეპროგრამებში.

06 01 პრ. კოდი - საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 328,3 ათასი ლარი; მ. შ. საკუთარი სახსრებით 137,3 ათასი ლარი და მიზნობრივი ტრანსფერით 191,0 ათასი ლარი.

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

06 03 პრ. კოდი - სოციალური დაცვა - 3 102,3 ათასი ლარი, (3 077,3 ათ. ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით და 25.0 ათ.ლარი მიზნობრივი ტრანსფერით) გასულ წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 342,2 ათასი ლარით და პირველ ვერსიასთან შედარებით 170,0 ათასი ლარით, 2025 წლის სოციალური პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი 2 760,3 ათას ლარს შეადგენდა, სადც 100,0 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით პერსონალური ასისტენტის მომსახურებისათვის იყო გათვალისწინებული, რომელიც 2025 წელს დაზუსტდა (სრულად შემცირდა) ხოლო 2026 წელს მხოლოდ 5,0 ათასი ლარს შეადგენს.

2026 წელს გათვალისწინებულია შემდეგი სოციალური პროგრამები:

06 03 01 პრ. კოდი - სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება -600, 0 ათ. ლარი,

06 03 03 პრ. კოდი - შშმ პირთა დახმარება-107,0 ათ, ლარი,

06 03 04 პრ. კოდი - ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 1 100,0 ათ, ლარი.

06 03 05 პრ. კოდი - ლეიკემიით დაავადულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება- 75,0 ათ, ლარი

06 03 06 პრ. კოდი - მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება- 63,0 ათ, ლარი

06 03 07 პრ. კოდი - მარტოხელა მშობლების დახმარება - 24,0 ათ, ლარი,

06 03 08 პრ. კოდი - მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება - 60,0 ათასი ლარი;

06 03 09 პრ. კოდი - ყოველთვიური დახმარება - 80.0 ათ, ლარი.

06 03 10 პრ. კოდი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა დახმარება . -9,0 ათ, ლარი.

06 03 11 პრ. კოდი - ხანდაზმულთა დახმარება - 8,0 ათ, ლარი.

06 03 12 პრ. კოდი - სადღესასწაულო დღეების დახმარება - 100,0 ათ, ლარი

06 03 13 პრ. კოდი - სოციალურად დაუცველი და მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - 20.0 ათ, ლარი

06 03 14 პრ. კოდი - უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარება- 20.0 ათ, ლარი;

06 03 15 პრ. კოდი - ახალშობილთა ოჯახების დახმარება - 35,0 ათ, ლარი

06 03 16 პრ. კოდი - გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა- 1.0 ათ, ლარი მიზნ. ტრანსფერით.

06 03 17 პრ. კოდი - სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა- 250, ათასი ლარი.

06 03 18 პრ. კოდი - უფასო სასადილო- 337,3 ათ, ლარი

06 03 19 პრ. კოდი - საგრანტო პროექტების ხელშეწყობა - 50,0 ათასი ლარი.
06 03 20 პრ. კოდი - გადაუდებელი რეაგირების პროგრამა - 50,0 ათასი ლარი

06 03 21 პრ. კოდი - ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება - 30,0 ათასი ლარი;

06 03 22 პრ. კოდი - არასრულწლოვანთა დახმარება - 78,0 ათასი ლარი. მათ შორის 19,0 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 59,0 ათასი ლარი საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით;

06 03 23 პრ. კოდი - პერსონალური ასისტენტის მომსახურება - 5,0 ათასი ლარი. მიზნობრივი ტრანსფერით.

6) 01 00 პრ.კოდი - მმართველობა და საერთო დანიშნულება - 6 783,2 ათასი ლარი, წინა ვერსიასთან შედარებით პრირიტეტის დაფინანსება გაზრდილია 40,0 ათასი ლარით, სარეზერვო მათ შორის:

01 01 01 პრ. კოდი - საკრებულოს დაფინანსება - 1 482,6 ათასი ლარი;

01 01 02 პრ. კოდი მერია - 5 007,6 ათასი ლარი;

01 01 04 პრ. კოდი -კადრების მომზადება გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები - 20,0 ათასი ლარი;

01 02 01 პრ. კოდი სარეზერვო ფონდი - 160,0 ათასი ლარი;

01 02 02 პრ. კოდი - წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინასური უზრუნველყოფა -50,0 ათასი ლარი

01 02 03 პრ. კოდი - მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა -58,0 ათასი ლარი. აღნიშნული წარმოადგენს 2018 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ნაგავმზიდებისა და ნარჩენების კონტეინერების შესაძენად აღებული სესხის დაფარვისათვის განკუთვნილ ხარჯს, რომელიც დასრულდება 2026 წელს.

01 02 04 ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობა - 5,0 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6 731,2ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 1 740,0 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 2 964,5 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1330,0 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 328,3 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა, სპორტი - 3 932,9 ათასი ლარი;*
- *განათლება - 4 522,8 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 3 102,3 ათასი ლარი;*
-

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. პასუხი საკრებულოდან მიღებული რეკომენდაციების შესახებ.
2. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის დანართი (2026-2029 წლები)
3. ინფორმაცია 2025 წლის ცხრა თვის შესრულების შესახებ;
4. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ; (პროგრამული ბიუჯეტის დანართი)
5. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;

6. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
7. ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

გ) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

დ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი